# ლადო პაპავა: "ბიუჯეტი გამჭვირვალე გახდა"

გაზეთი "ახალი თაობა" – 11 იანვარი, № 8, 2013

**პროფესორი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ სააკაშვილის რეჟიმი ბოლომდე არ დასრულებულა, ამიტომ დღეს ნებისმიერი კრიტიკა ახალი მთავრობის მიმსამართით, როგორი კეთილი სურვიებითაც არ უნდა იყოს ის ნაკარნახევი, ირიბად მაინც სააკაშვილის სამსახურში ჩადგომაა. აქედან გამომდინარე მხოლოდ მინიშნებებს აკეთებს იმ ხარვეზებზე, რომელიც აქამდე გამოიკვეთა და რომელიც მთავარი პროკურატურის დაინტერესებასაც უნდა იწვევდეს.**

**რა არ ევალებოდა ფინანსთა მინისტრს და რა შემთხვევაში გაიცემა თბილისის აბობენტებზე ელექტროენერგიის 100 ლარიანი ვაუჩერი? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ლადო პაპავასთან.**

**– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით ბიძინა ივანიშვილის გუნდის სამთვიანი მუშაობის შედეგებს და მართლაც, უკვე ბეჭებზე დადო თუ არა „ქართულმა ოცნებამ" პრეზიდენტი, საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტით?**

– დავიწყოთ იმით, რომ ტრადიციული ასდღიანი პერიოდი 2 თებერვალს გადის. ამიტომ პირველი შეფასებები ჯობია 3 თებერვლდან გავაკეთოთ. მანამდე, რა შეიძლება ითქვას: ის ცვლილებები კონსტიტუციაში, რომლის პრეზენტაციაც ბატონმა ბიძინამ ახალ წლამდე მოახდინა, არის ძალიან სერიოზული, მაგრამ ისინი ჯერ მიღებული არ არის. „ქართული ოცნება" პარლამენტში ჯერ-ჯერობით მხოლოდ 95 ხმას აკონტროლებს. კონსტიტუციური ცვლილების მიღებას კი არანაკლებ 100 ხმა სჭირდება. როგორც საქართველოს მოქალაქე მხოლოდ მას შემდეგ ვიქნები მშვიდად, რაც ეს საკონსტიტუციო ცვლილება პარლამენტის მიერ იქნება მიღებული. ეტყობა, ბატონმა ბიძინამ იცის, რომ მას უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლება. ერთ-ერთ ეთერში ისიც თქვა, რომ 120 დეპუტატი დაუჭერს ამ ცვლილებებს ხმასო. თუ ეს კონსტიტუციური ცვლილება გავა, სააკაშვილს დაეკარგება სურვილი, რომ ჩაატაროს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რადგან მას ამ არჩევნებში მოუწევს ივანიშვილის მთვარობით გასვლა და დამარცხდება. ის მზაკვრული ჩანაფიქრი, რომ მოქმედი კონსტიტუციით მას შეეძლო თავისი მთავრობა დაენიშნა და არჩევნები ისე ჩაეტარებინა, ჩაიშლება.

**– ოპოზიცია ტრადიციული 100 დღის გასვლას ელოდება და მანამდე კრიტიკისგან თავს იკავებს. ბევრი მიმართულებით იმსახურებს ხელისუფლება კრიტიკას?**

– საპარლამენტო ოპოზიციამ კრიტიკა არჩევნების მეორე დღიდან დაიწყო. ივანიშვილი ჯერ პრემიერად არ იყო დანიშნული, რომ ნაციონალების ბოლო ნამსხვრევი ამ ხელისუფლებას აკრიტიკებდა. რაც შეეხება ქ-ნ ნინო ბურჯანაძეს, მან პირდაპირ ხაზი გაუსვა 100 დღეს. სხვა ოპოზიციური პარტიებიც დუმან. შეიძლება ისინიც 100 დღეს ელოდებიან. მე, პირადად, ველოდები სააკაშვილის რეჟიმის დასრულებას. სანამ სააკაშვილი არ დასრულდება, მანამ ნებისმიერი კრიტიკა ახალი მთავრობის მიმსამართით, როგორი კეთილი სურვიებითაც არ უნდა იყოს ის ნაკარნახევი, ირიბად სააკაშვილის სამსახურში ჩადგომა გამოვა.

**– მაინც, როდისთვის ელოდებით სააკაშვილის რეჟიმის დასრულებას? ითქვა, რომ დასავლეთში აქტიურად ემზადებიან ნაციონალების ბაზაზე ახალი პარტიის შექმნისთვის.**

– თუ ამ პარტიაში ისევ იქნებიან გაბაშვილები, მერაბიშვილები, ბოკერიები, მინაშვილები თუ დარჩიაშვილები, რა მნიშვნელობა აქვს. მათგან ხალხისათვის იმედისმომცემი მაინც არაფერი გამოვა. აქ პრობლემა არის სხვა: სააკაშვილმა არ გამოიყენოს კონსტიტუციური მექანიზმი ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის შესაქმნელად. თუ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო ცვლილებები გაიტანა თებერვალ-მარტში, ბუნებრივია, სააკაშვილი ამ დროისათვის პოლიტიკურად განეიტრალებული იქნება. მანამდე კი ყველას უნდა ახსოვდეს, რომ საქართველოს პირველი მტერი არის ნაციონალური მოძრაობა! როცა საკაშვილს აღარ შეეძლება პოლიტიკური კრიზისი გამოიწვიოს ქვეყანაში, ნაცმოძრაობაც დასრულდება. პარლამენტში მარტო „ქართული ოცნებაც“ რომ დარჩეს, მე ამაშიც ვერ ვხედავ საფრთხეს. ეს კოალიცია დაიშლება და ჩამოყალიბდება ოპოზიციური ფრაქციები.

**– მართლაც უჭირს „ქართულ ოცნებას“ წინასარჩევნო დაპირებების შესრულება? ნაციონალები აცხადებენ, დენის ტარიფზე 3 თეთრის მოკლება საკმარისი არ არისო.**

– ჯერ ერთი, ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ ჯობდა სხვა გზით წასულიყო. ტარიფი ჩვენი კანონმდებლობით განისაზღვრება ენერგეტიკის მარეგულირებელი დამოუკიდებელი კომისიის გადაწყვეტილებით. ასე, რომ დენის და გაზის ტარიფი

გატანილია პოლიტიკური სივრციდან. აქედან გამომდინარე ეს დაპირება ვერ შესრულდება მხოლოდ პოლიტიკური მექანიზმებით ანუ რა დავალებაც აქვს მიღებული ენერგეტიკის მინისტრს. აბსოლუტურად არანაირი საკანონმდებლო ბერკეტი სამინისტროს არ გაჩნია. ეს რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს, რომ სამინისტრომ აწარმოოს მოლაპარაკებები ელექტროენერგიის თუ გაზის იმპორტიორ კომპანიებთან ფასებთან დაკავშირებით. იმავდროულად არაერთხელ მითქვამს და ხაზს გავუსვამ, რომ ტარიფის შემცირების ერთადერთი კონსტრუქციული გზა არის, რომ მთავრობას მოემზადებინა ცვლილებები საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის კანონში, სადაც ამ ცვლილების საფუძველზე მეთოდიკა, რომლის საფუძველზეც დაიანგარიშება ტარიფი, გახდებოდა უფრო გამჭვირვალე, ხოლო შუალედური რგოლები იქნებოდა ამოგდებული. ეს, საბოლოო ჯამში, გამოიწვევდა ახალი მეთოდიკით უფრო დაბალი ტარიფის განსაზღვრას. რეალურად, ჯერჯერობით რაიმე კონსტრუქციული გარიგება მიღწეული არ არის არც ერთ იმპორტიორ კომპანიასთან ენერგომატარებლების ფასზე. ხსენებული კანონი არ შეცვლილა, რომ მარეგულირებელ კომისიას დავალებოდა ახალი ტარიფი დაეანგარიშებინა და უცებ მარეგულირებელი კომისია იღებს გადაწყვეტილებას და 3,5 თეთრით შეამცირა დენის ტარიფი. რა გამოვიდა? თურმე აქამდე 3,5 თეთრით ხელოვნურად ყოფილა ტარიფი გაბერილი. ვფიქრობ, ახლა უკვე პროკურატურის საქმეა, სად მიდიოდა ამდენი ხნის განმავლობაში 3,5 თეთრი ყოველ კილოვატ საათ ენერგიაზე.

**– რადგან დენის ტარიფზე ვსაუბრობთ, როგორ შეაფასებდით დედაქალაქის მერის გიგი უგულავას საპასუხო ნაბიჯს – 100 ლარიანი ვაუჩერი თბილისში მაცხოვრებელ ყველა აბონენტს.**

– უგულავას ეს საპასუხო ნაბიჯი ძალიან პრიმიტიულია. ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის აკეთებდა აქცენტს სოციალურ პრობლემებზე, მაგრამ სოციალური პოლიტიკა არასდროს ჰქონია, ისევე როგორც არც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ჰქონია, და არც – ეკონომიკური პოლიტიკა. ვაუჩერი შეიძლება გამოიყენო კრიზისულ ვითარებაში რომ დაეხმარო მოსახლეობას. მაგრამ მისი მუდმივად გამოყენება ნიშნავს იმას, რომ შენ სოციალური პოლიტიკა არ გაგაჩნია. გიგი უგულავამ ამ განცხადებით ნაციონალების ტრადიცია შეინარჩუნა. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ნაციონალური მოძრაობა მოსახლეობას 1000 ლარიან ვაუჩერს ჰპირდებოდა. ხედავთ, მოსახლეობისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ სააკაშვილის პარტიისთვის მხარი

დაეჭირა. ახლა უგულავამ შესთავაზა 100 ლარიანი ვაუჩერი. სავარაუდოდ, ეს შეთავაზება გამოწვეული იყო იმით, რომ ნაციონალები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებოდნენ. არ გამოვრიცხავ, რომ არანაირი ვაუჩერები არ დარიგდეს, თუკი ზემოხსენებული კონსტიტუციური ცვლილება გავიდა. თუმცა, აქ შეიძლება ერთი დაშვება მაინც იყოს. თუ გიგი უგულავას აქვს იმის ამბიცია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი გახდეს, როდესაც შემოდგომაზე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება, შეიძლება მაშინ მართლა დაარიგოს ეს ვაუჩერები, რომ ამით მაინც მოიგოს თბილისელების გული, მაგარამ თბილისელები ბევრად უფრო ჭკვიანები არიან და ნაციონალების "მოსატყუებელი კბილი დიდი ხანია გამოცვლილი აქვთ".

**– რამდენად სწორად მოხდა ბიუჯეტში თანხების განაწილება? საქართველოს გადარჩენის პროგრამის, როგორც ივანიშვილის პროგრამას უწოდებენ, განხორციელება, ხომ ამ ბიუჯეტზეა დამოკიდებული?**

– საერთოდ, საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, მომდევნო წლის ბიუჯეტზე მუშაობა იწყება მიმდინარე წლის გაზაფხულზე. კონსტიტუციური ბოლო ვადაა, როცა ბიუჯეტის პროექტი უნდა წარედგინოს პარლამენტს 30 სექტემბერია. სააკაშვილის მთავრობა საპარლამენტო უმრავლესობასთან ერთად შვიდი თვის განმავლობაში მუშაობდა 2013 წლის ბიუჯეტის პროექტზე. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის ის პროექტი, რომელიც ამ მთავრობამ შეიტანა პარლამენტში, ნაციონალების დაპირებებსაც კი არ ასახავდა. ანუ რა დაპირებებითაც გავიდა არჩევნებზე ნაცმოძრაობა, ეს დაპირებები არ იყო გათვალისწინებული 2013 წლის ბიუჯეტის იმ პროექტში, რომელიც შეიტანა სააკაშვილის მთავრობამ პარლამენტში 30 სექტემბერს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაციონალებს არჩევნებში რომ გაემარჯვათ, მერაბიშვილის მთავრობას მაინც დასჭირდებოდა ამ ბიუჯეტის ხელახლა დამუშავება. არჩევნებში მოვიდა სულ სხვა ძალა და სულ სხვა დაპირებებით. ამ ძალას საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ვადის – 7 თვის ნაცვლად, რეალურად 5 დღე ჰქონდა. მინისტრ ნოდარ ხადურის ხელმძღვანელობით ფინანსთა სამინისრტრომ მთავრობის ხელშეწყობით ხუთ დღეში შექმნა ბიუჯეტის ახალი პროექტი. ბუნებრივია, ხუთ დღეში მომზადებული ბიუჯეტის პროექტი ნაკლოვანებებისგან თავისუფალი ვერ იქნება. მაგრამ მან პრინციპულად რამდენიმე სწორი ნაბიჯი გააკეთა. ყველაზე მთავარი არის ის, რომ ბ-ნმა ხადურმა მოძებნა გასაღები, როგორ გადაწყვეტილიყო ე.წ. "სხვა ხარჯების" პრობლემა. რას ნიშნავს "სხვა ხარჯები"? საბიუჯეტო კოდექსით გაწერილია, რომელი ხარჯი როგორ უნდა აისახოს ბიუჯეტში. ის, რაც

გაწერილი არ არის, ყველაფერი ხვდება ამ “სხვა ხარჯებში”. გამოდიოდა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სადღაც 1 მლრდ ლარამდე იყო ბიუჯეტში “სხვა ხარჯები”, ის კი დაახლოებით ბიუჯეტის 15%-მდე ადიოდა. სინამდვილეში “სხვა ხარჯები” არაუმეტეს 3-5%-ისა უნდა იყოს. გაბერილი “სხვა ხარჯები” პრაქტიკულად კორუფციის წყაროა, იმიტომ, რომ ვერავინ შეამოწმებს, რაში დაიხარჯა ეს თანხები. სააკაშვილის რეჟიმის დროს მომზადებული ყველა ბიუჯეტი, შეიძლება ითქვას, იყო კორუფციული ბიუჯეტი. ახალი ბიუჯეტის მომზადებისას, როცა ფინანსთა სამინისტრო სბიუჯეტო კოდექსს ემყარებოდა, ბუნებრივია, რომ ისევ საკმაოდ გაბერილი გამოუვიდა ეს “სხვა ხარჯები”. ამ თანხებმა საერთო ხარჯების 14,8% შეადგინა. საბიუჯეტო კოდექსს ასე სწრაფად ვერ შეცვლიდნენ. მაგრამ ბ-ნმა ხადურმა გააკეთა ის, რაც მას კანონით არ ევალებოდა. მან დანართის სახით ბიუჯეტის ძირითად ცხრილებს დაურთო ცხრილები, სადაც დეტალურადაა გაწერილი “სხვა ხარჯები”. ამით მან დამატებითი კონტროლის ქვეშ დააყენა ფინანსთა სამინისტრო და სრულიად მთავრობა, თუ რაში გაიხარჯება ეს თანხები.

**– ფინანსთა მინისტრმა კეთილი ნება აჩვენა და ბიუჯეტი უფრო გამჭვირვალე გახადა?**

– რა თქმა უნდა და ეს მისასალმებელია. ხოლო 2013 წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრომ უნდა მოამზადოს ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსში, რათა 2014 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას, ეს “სხვა ხარჯები” თავიდანვე აღმოჩნდეს გაწერილი.

**შორენა კოწოწაშვილი**